

1. ზოგადი მონაცემები შპს „სიამა 21“ შესახებ

საწარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა – შპს, რომელიც რეგისტრირებულია 14.11.2017 წელს მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს ს/ნ 405238899, იურიდიული მისამართია ქ. თბილისი იყალთოს ქ №4. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ბინების მშენებლობა კომპანიას მართავს დირექტორი ავთანდილ ჯანჯალია, 2022 წლის 28 სექტემბრის მდგომარეობით კომპანიის 75%-იანი წილის მფლობელია ავთანდილ ჯანჯალია, 25 %-ის ქეთევან ჯანჯალია

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური უწყისები მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ფიქსირებული აქტივების ისტორიულ ღირებულებაზე დაყრდნობით. ფინანსური ანგარიშგება მოყვანილია ქართულ ლარში. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების“ შესახებ მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფიქსირდება ოპერაციის მოხდენის დღისათვის ოფიციალური კურსით ლარებში. სავალუტო პოზიციების მიხედვით წარმოქმნილი კურსთა შორის სხვაობები აისახება ფინანსურ შედეგებზე

დებიტორული დავალიანება

ორგანიზაციის დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები) აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა

შექნილი მასალების ღირებულება აისახება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულება განისაზღვრება იდენტიფიცირების მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ნაყიდი ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, მონტაჟის, ტრანსპორტირების და სხვა პირდაპირ ხარჯებს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ცვეთის თანხით.

შემოსავლები და ხარჯები

საზოგადოება მუშაობს დარიცხვის მეთოდით, სადაც შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა მომსახურება გაწეული, მიუხედავად მის სანაცვლოდ ფულადი სახსრების ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა.

–შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მათი წყაროების მიხედვით;

–ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

–წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება: დივიდენდების გასაცემად და სხვა მიზნით.

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოუწევს საზოგადოებას;

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი შედგება გასული და სამეურნეო წლის მოგება ზარალისაგან

2. კომენტარები ფინანსური ანგარიშგებაზე

ახსნა-განმარტებები ბალანსზე

მიმდინარე აქტივები

ფულადი სახსრები (სალარო)

საწარმოში შემოსული და გაცემული ნაღდი ფული აღირიცხება საბუღალტრო პროგრამაში. სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები გამოწერილია სწორად, რომელსაც თან ახლავს დამადასტურებელი დოკუმენტები, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სალაროს ნაშთია 37433 ლარი.

საბანკო ანგარიშები

საბანკო ანგარიშებზე, ეროვნულ ვალუტაში რიცხული ფულადი სახსრების ამსახველი ანგარიშები წარმოებულია სწორად, საბანკო ამონაწერებისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ანგარიშები გახსნილი აქვს: სს “თიბისი ბანკში”. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 20233 ლარს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქონლის ნაშთი შეადგენს 2 228 539 ლარს.

გრძელვადიანი აქტივები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 3330 ლარს.

მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიწოდება მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულება შეადგენს 31527 ლარს, მიწოდებიდან მიღებული ავანსი შეადგენს 280 581 ლარს, საგადასახადო ვალდებულებები 56 166 ლარს.

საკუთარი კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკუთარი კაპიტალი შეადგენს 1 921 261 ლარს მათ შორის მოგება 1 354 108 ლარს.

ახსნა-განმარტებები მოგება ზარალის ანგარიშგებაზე

შემოსავლები

ფინანსური კუთხით 2021 წელს მიწოდება მომსახურებიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 1 295 331 ლარი .

ხარჯები

საზოგადოების მთლიანმა დანახარჯებმა 2021 წელს შეადგინა 829774 ლარი დანახარჯებიდან ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის საქონლის თვითღირებულებაზე 97 %, ადმინისტრაციულ და სხვა ხარჯებზე 3 %, მოგებიდან გაწეული ხარჯი 25 555 ლარი, ფინანსური კუთხით 2021 წლის მოგებამ შეადგინა 440 002 ლარი.

ახსნა-განმარტებები ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისზე

2021 წლის მონაცემებით მომსახურებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი თანხა შეადგენს 2 140 156 ლარს, ფულადი გასავალმა

შეადგინა 2 088 830 ლარი, პერიოდის ბოლოსათვის გაიზარდა 51326 ლარით და
შეადგინა 57 666 ლარი.

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშიდან ჩანს, რომ 2021 წელს წინა პერიოდთან
შედარებით კაპიტალი გაიზარდა 440 002 ლარით. საზოგადოების საწესდებო
კაპიტალი შეადგენს 567 153 ლარს, ხოლო მოგება 1 354 108 ლარს.

დირექტორი:  /ლევანდილ ჯანჯალია/

მთ. ბუღალტერი:  /ზურაბ ჯინჯოლავა/

იხილეთ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების და ფულადი სახსრების მოძრაობა ცხრილის სახით

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	57666	6340	877702
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	0	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	87346	96144
მარაგები	2228539	1503748	698967
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	2228539	1503748	698967
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	35220	49643
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	3330	4163	5203
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2289535	1636817	1727659
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	31527	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	280581	0	0
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	56166	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	155558	0
სულ ვალდებულებები	368274	155558	0
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	567153	567153	1217153
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1354108	914106	510506
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1921261	1481259	1727659
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2289535	1636817	1727659
სულ მოკლევადიანი აქტივები	56167	35220	47580
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	31527	155558	0

სამიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	1295331	822101
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	1295331	810071
სხვა	0	12030
გაყიდვების თვითღირებულება	-805421	-395503
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	489910	426598
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	0	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-833	-1041
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-23520	-21957
სულ საოპერაციო ხარჯები	-24353	-22998
საოპერაციო მოგება	465557	403600
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი	465557	403600
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	465557	403600
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	465557	403600
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1481259	1727659
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-25555	-650000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1921261	1481259

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2140156	954283
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2088830	-1825645
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	51326	-871362
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის	6340	877702
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის	57666	6340